პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დისტანციური სწავლების განხორციელების წესი

2-0401-19

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის დირექტორი
_____ა.დიასამიძე
21.07.2025 წ.

დადგენილება:
2025 წლის 21 ივლისის სენატის სხდომა, ოქმი N08

მუხლი 1. ზოგადი დებულებები და სამართლებრივი საფუძველი

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელში ანრიში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების (შემდგომში – პროგრამა) ცალკეული კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესსა და პირობებს.

1.2. წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №143/ნ ბრძანების შესაბამისად.

1.3. დისტანციური სწავლება წარმოადგენს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესს, რომელიც ხორციელდება ელექტრონული პლატფორმებისა და დისტანციური კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით.

1.4. დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს სინქრონული ან ასინქრონული ფორმით. პროგრამის განხორციელება დაუშვებელია სრულად ასინქრონული ფორმით. შესაძლებელია ჰიბრიდული მოდელის გამოყენება, რომელიც აერთიანებს დისტანციურ და კონტაქტურ (აუდიტორულ) სწავლებას.

1.5.პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განისაზღვრება პროგრამის ის კომპონენტი/კომპონენტები, რომელთა დისტანციურად სწავლება ან/და შეფასება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იმ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ფარგლებში, რომლებიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს.

1.6.პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების იმ პროგრამებისათვის, რომლებიც არ ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს, პროგრამის/პროგრამის კომპონენტების სრულად ან ნაწილობრივ დისტანციურად სწავლების ან/და შეფასების თაობაზე გადაწყვეტილებას

იღებს აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება. ამ შემთხვევაში, პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება ვალდებულია სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომ – ცენტრი) პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების ეტაპზე წარმოდგენილ განაცხადში ასახოს პროგრამის/პროგრამის კომპონენტების სრულად ან ნაწილობრივ დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია, არგუმენტირებული დასაბუთება და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც ფასდება პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების პროცესში.

1.7.იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას და ავტორიზაციის/პროგრამის დამატების ეტაპზე არ ჰქონდა მოთხოვნილი პროგრამის/პროგრამის კომპონენტის/კომპონენტების დისტანციურად განხორციელება, პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების შემთხვევაში ვალდებულია მიმართოს ცენტრს, პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების თაობაზე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმით.

1.8. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ახორციელებს პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას და პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების ეტაპზე არ ჰქონდა მოთხოვნილი პროგრამის/პროგრამის კომპონენტების სრულად დისტანციურად ან ნაწილობრივ დისტანციურად განხორციელება, პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების შემთხვევაში ვალდებულია მიმართოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების თაობაზე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმით.

1.9. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება დამატებითი უფლების მოპოვების გარეშე ახორციელებს პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას და სურს განახორციელოს აღნიშნული პროგრამა/პროგრამის კომპონენტები სრულად ან ნაწილობრივ დისტანციურად, ვალდებულია შეცვალოს იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფორმა, რომელსაც ეყრდნობა პროფესიული მომზადების პროგრამა/პროფესიული გადამზადების პროგრამა და ცვლილების შემდგომ მიმართოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების თაობაზე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმით.

1.10. პროგრამის დისტანციურად ან ნაწილობრივ დისტანციურად განხორციელების მიზნით დაწესებულება განსაზღვრავს დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ეტაპებს,

პროცესში ჩართულ პირთა მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, ასევე, დისტანციური სწავლებისა და შეფასების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებს.

მუხლი 2. პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელება

2.1. პროგრამის იმ კომპონენტების დისტანციურად სწავლება ან/და შეფასება შესაძლებელია, რომელთა დისტანციური განხორციელება დასაშვებია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით, პროგრამის შინაარსის მარეგულირებელი აქტით ან მოქმედი კანონმდებლობით.

2.2. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლება დისტანციური ფორმით დაუშვებელია.

2.3. დაუშვებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შუალედური შეფასებებისა და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება დისტანციური ფორმით.

2.4. საჭიროების შემთხვევაში სასწავლებელი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ორგანიზებას არადისტანციური ფორმით.

2.5. პროგრამის განხორციელების ფორმის ცვლილების შემთხვევაში, თუ ეს მოითხოვს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ წარმოებას, სასწავლებელი უზრუნველყოფს შესაბამისი განაცხადისა და დოკუმენტაციის წარდგენას სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დადგენილი წესით.

მუხლი 3. სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა

3.1. დისტანციური სწავლების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებას, პროგრამის ან მისი კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით, იღებს სასწავლებლის დირექტორი, რაც ფორმდება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3.2. დისტანციური სწავლების ფარგლებში ერთი საკონტაქტო გაკვეთილი შეადგენს 50 წუთს.

3.3. სასწავლებელი უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების პროცესის ორგანიზებას ისე, რომ არც ერთი პროფესიული სტუდენტი/მსმენელი არ დარჩეს სასწავლო პროცესის მიღმა. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სასწავლებლის სივრცეში შესაბამისი მხარდაჭერის მიწოდება.

3.4. დისტანციური სწავლებისათვის გამოიყენება ლიცენზირებული და უსაფრთხო ელექტრონული პლატფორმები (მათ შორის Zoom). სხვა პლატფორმების გამოყენება დასაშვებია დირექტორთან წინასწარი შეთანხმებით.

3.5. სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი აწარმოებს დისტანციურ გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვას და საჭიროების შემთხვევაში ადგენს სტუდენტის/მსმენელის მიერ გაკვეთილების გაცდენის მიზეზებს.

3.6. დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სასწავლებელი უზრუნველყოფს სტუდენტებს/მსმენელებსა და მასწავლებლებს შერჩეული პლატფორმების გამოყენებასთან დაკავშირებული ინსტრუქციებით.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის/მსმენელისა და მასწავლებლის ვალდებულებები

4.1. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია ჩაერთოს დისტანციურ სწავლებაში მიწოდებული გრაფიკის შესაბამისად, ადეკვატური გარემოდან.

4.2. ონლაინ სივრცეში ჩართულობა და გაკვეთილზე დასწრება ითვლება სასწავლო პროცესში მონაწილეობად.

4.3. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია, მასწავლებლის ან ადმინისტრაციული პერსონალის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს ვიდეო და აუდიო მოწყობილობების ჩართვა და პლატფორმაზე იდენტიფიცირდეს საკუთარი სახელისა და გვარის მითითებით.

4.4. პროფესიული განათლების მასწავლებელი დისტანციურ სწავლებას ახორციელებს შეთანხმებული სასწავლო განრიგის დაცვით, სინქრონული, ასინქრონული ან შერეული მეთოდით.

4.5. მასწავლებელი ვალდებულია დარეგისტრირდეს სასწავლებლის მიერ შერჩეულ ელექტრონულ პლატფორმაზე და უზრუნველყოს სტუდენტების/მსმენელების ჩართვა განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად.

4.6. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი უფლებამოსილია განახორციელოს საკონტაქტო საათის ვიდეოჩანაწერი, რომელიც გამოიყენება მხოლოდ შიდა მიზნებისთვის და ინახება შეზღუდული ვადით.

4.7. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით ორგანიზებულ ონლაინ გამოკითხვებში და დააფიქსიროს მოსაზრებები და რეკომენდაციები.

მუხლი 5. შეფასება

5.1. დისტანციური სწავლების პირობებში სტუდენტთა/მსმენელთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ფორმებით, მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისად.

5.2. იმ მოდულების შეფასება, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა დისტანციური ფორმით შეუძლებელია, ხორციელდება კონტაქტური სწავლების ფარგლებში.

5.3. დისტანციური შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს იმავე სწავლის შედეგების შეფასების შესაძლებლობას, რაც ტრადიციული სწავლების პირობებში.

მუხლი 6. ხარისხის უზრუნველყოფა და რეკომენდაციები

6.1. სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ფარგლებში ხორციელდება დისტანციური სწავლების მონიტორინგი, კმაყოფილების კვლევები და შედეგების ანალიზი.

6.2. დისტანციური სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სასწავლებელი ითვალისწინებს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს, EQAVET-ის პრინციპებსა და სექტორულ რეკომენდაციებს.

6.3. მიღებული შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მუხლი 7. პერსონალური მონაცემების დაცვა

7.1. დისტანციური სწავლების პროცესში დაცული უნდა იყოს პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და პერსონალის პერსონალური მონაცემები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ონლაინ ლექციების ჩანაწერები და სხვა ელექტრონული მასალები გამოიყენება მხოლოდ შიდა მიზნებისთვის (სწავლების უზრუნველყოფა, მონიტორინგი, ხარისხის კონტროლი) და მათი გასაჯაროება დაუშვებელია შესაბამისი თანხმობის გარეშე.

მუხლი 8. ეტიკეტის ზოგადი ნორმები

8.1. დისტანციური სწავლების პროცესში ადმინისტრაციული პერსონალი, მასწავლებლები და სტუდენტები/მსმენელები ვალდებულნი არიან დაიცვან ეთიკისა და პროფესიული კომუნიკაციის ზოგადი წესები.

8.2. დაუშვებელია არასათანადო კომუნიკაცია, შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, ჟარგონისა და სლენგის გამოყენება, ასევე სხვისი პერსონალური ინფორმაციის გავრცელება თანხმობის გარეშე.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სასწავლებლის დირექტორის ბრძანებით.

შემმუშავებელი:

სასწავლო პროცესის მენეჯერი
მაია დავითიანი _____

პერსონალის დოკუმენტებთან გაცნობის ფურცელი

№	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	დავით ჩხაიძე	პროფესიული განატლების დეპარტამენტის უფროსი		
2	რუსუდან დიასამიძე	ხარისხის სამსახურის უფროსი		
3	ნათია დიასამიძე	ადამიანური რესურსების მენეჯერი		
4	თამარ დარჩიძე	სტუდენტთა, თანამშრომელთა და მსმენელთა მომსახურების განყოფილების უფროსი		
5	მზია დუმბაძე	არქივარიუსი		
6	მარიამ დიასამიძე	რეგისტრაციის, მობილობისა და რეესტრის მწარმოებელი		
7	ომარ დიასამიძე	პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი		
8	მამუკა სურმანიძე	ს/გ „კაპ. ო.ჩახვაძე“ კაპიტანი		
9	გიორგი დავითაძე	ს/გ „კაპ. ო.ჩახვაძე“ უფ.მექანიკოსი		
10	ამირან ფუტკარაძე	პროგრამის ხელმძღვანელი		
11	ალექსანდრე ხინველი	პროგრამის ხელმძღვანელი		
12	თამაზ თებიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
13	ნინო ჯაყელი	პროფესიული განათლების მასწავლებელი		

14	ანზორ შარაშიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
15	ზვიად ზამთარაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
16	თეიმურაზ შამილაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
17	თემურ ბერიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
18	ალიკო ბარამიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
19	თენგიზ კონცელიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
20	ედგარ ნაკაიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
21	თამარ გუჩმანიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
22	დარეჯან ასამბაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
23	ირაკლი ბეჟანიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
24	ინგა სურმანიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
25	მირანდა ჭინკაძე-ბაბუნაშვილი	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
26	ლიუდმილა ბერიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
27	ნანა ბრუნჯაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
28	მზია ბაკურიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
29	სოფიკო მამულაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
30	ზურაბ ბერიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
31	რევაზ ბერიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		

32	ივანე დავითიანი	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
33	ბადრი გიორგაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
34	ირაკლი გოგიტიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
35	რუსლან დიასამიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
36	აკაკი ესანჯია	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
37	არჩილ ნაკაშიძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		
38	კახაბერ ქათამაძე	პროფესიული განათლების მასწავლებელი		

პერიოდული შემოწმების ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმების ჩამტარებელი პირის თანამდებობა და ინიციალები	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტები